შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№24 (9.738)

25 ივნისი – 2 ივლისი 2016 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

შშმ პირებს პენსია 180 ლარამდე ეზრდებათ

გვ.2

ოთარ დანელია კალიის წინაალმდეგ წამლობის პროცესს დაესწრო

გვ. 3

წყალი – მხოლოდ გრაფიკით

ინკლუზიური განათლება დედოფლისწყაროს 15 და 13 სკოლაში მოქმედებს

გვ.5

რატომ გავიდა დიდი ბრიტანეთი ევროკავშირიდან

გვ.2

„უნდა დავაფასოთ ის ხალხი, ვისაც ესმის ხალხური სიმღერის მნიშვნელობა“...

გვ.8

ყურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50.2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 8 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.

C M Y K

შშმ პირებს პენსია 180 ლარამდე ეზრდებათ

პირველი ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებსა და 18 წლამდე ასაკის შშმ ბავშვებს სოციალური პენსია ეზრდებათ. ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განაცხადა.

„მთავრობის მომავალ სხდომაზე გამოვიტანთ საკითხს, რომლის მიხედვითაც **პირველი ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს და ბავშვებს თვრამეტ წლამდე 1-ლი ივლისიდან გაეზრდებათ პენსია 180 ლარამდე.** მთავრობის მომავალ სხდომაზე იქნება მსჯელობა და დიდი ალბათობით, ამ გადაწყვეტილებას მივიღებთ“, - განაცხადა სერგეენკომ.

ჯანდაცვის მინისტრის თქმით, ამ ეტაპზე პენსია მხოლოდ პირველი ჯგუფის შშმ პირებს გაეზრდებათ, ხოლო უახლოეს მომავალში, გამოიყოფა რესურსი იმისთვის, რომ პენსიის გაზრდა მეორე ჯგუფის შშმ პირებისთვისაც მოხდეს.

საქართველოში ერთიანი ბიზნესმომსახურების სივრცე იქმნება

საქართველოს მთავრობის ოთხპუნქტიანი რეფორმების გეგმის ფარგლებში, ერთიანი ბიზნესმომსახურების სივრცე იქმნება. შეიქმნება უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფიც, რომელსაც პირველი ვიცე-პრემიერი დიმიტრი ქუმსიშვილი უხელმძღვანელებს.

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის მუშაობაში აქტიურად იქნება ჩართული იუსტიციის სამინისტრო.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, რეფორმების გამოცხადების დღიდან, აღწერილია 500-ზე მეტი მომსახურება და შედგენილია იმ მომსახურებების სრული ნუსხა, რომელსაც კერძო სექტორი მთავრობის მხრიდან იღებს.

„ახლა მნიშვნელოვანია, შეიქმნას ერთიანი, როგორც ფიზიკური, ისე ციფრული სივრცე, რათა ეს მომსახურებები იქნას მაქსიმალურად ეფექტიანად მიწოდებული, სახელმწიფო გახდეს უფრო მეტად სერვისებზე ორიენტირებული. რა თქმა უნდა, ამის მიზანია ქვეყანაში კიდევ უფრო მეტად მომხიბლავი ბიზნესგარემოს შექმნა, ამ მიმართულებით მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, რათა კიდევ უფრო შემცირდეს, მათ შორის, კორუფციის რისკებიც, ამ სერვისების მიწოდების დროს. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი და ჩვენ ძალიან დიდ იმედებს ვამყარებთ ამ მიმართულებაზე“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

პრემიერის შეფასებით, ერთიანი ბიზნესმომსახურების სივრცის შექმნა ოთხპუნქტიანი რეფორმების პაკეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. კვირიკაშვილის განცხადებით, ოთხპუნქტიანი რეფორმების გეგმა მუშაობს და არაერთი მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანი შედეგია დადებული.

პეკინში ქართული ღვინისა და ჩინურ-ქართული ფოლკლორის დღე აღინიშნა

„საქართველო - ღვინის სამშობლო, მეღვინეობის 8000-წლიანი უწყვეტი ტრადიცია“ - ამ სახელწოდებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ პეკინში ქართული ღვინისა და ჩინურ-ქართული ფოლკლორის დღე აღინიშნა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ღონისძიების ფარგლებში ჩინური და ქართული ფოლკლორისა და ცეკვების ჩვენება გაიმართა. ასევე, მოხდა ქართული და ჩინური კერძებისა და ქართული ღვინის დაგემოვნება.

სააგენტოს ცნობით, სადეგუსტაციოდ წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის კომპანიების „თელედას“, „დუგლაძეების ღვინის კომპანიას“, „კახური ღვინის მარნის“, „შალვინოს“, „ტიფლისკი ვინნი პოგრების“, „მეღვინეობა ხარებას“ და „თელავის ღვინის მარნის“ 30 სახეობის 100-მდე ბოთლი ღვინო.

„ღონისძიება ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და ჩინეთში ქართული ღვინის პოპულარიზაციის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა. მასზე მოწვეულ სტუმრებს კაფე Art Café Ku-მ უმასპინძლა. ჩინელ და ქართველ დელეგატებთან ერთად ღონისძიებას დაესწრო და სიტყვით გამოვიდა საქართველოს საგაგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დავით აფციაური და ქართული ღვინის წარმომადგენელი ჩინეთში მაია ცქიტიშვილი. სტუმრებს შორის იყვნენ პეკინის წამყვანი უნივერსიტეტების (ჭეკინგ უნივერსიტეტ, ღენმინ უნივერსიტეტ და სხვა), ღვინის ინდუსტრიის, ხელოვნების სფეროს, ღვინის სპეციალიზირებული და სხვა მედია საშუალებების წარმომადგენლები“, - აღნიშნულია ღვინის ეროვნული სააგენტოს განცხადებაში.

სააგენტოს ცნობით, 2016 წლის ხუთი თვის მონაცემებით ჩინეთში ექსპორტირებულია 1 242 523 ბოთლი ღვინო, რაც გასულის წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 106%-ით აღემატება. მათივე განცხადებით, ჩინეთმა ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში მეოთხე ადგილი დაიმკვიდრა რუსეთის, ყაზახეთისა და უკრაინის შემდეგ.

მთავრობა ბიუჯეტირების პრინციპულად განსხვავებული ფორმატის დანერგვას გეგმავს

მთავრობა, მმართველობითი რეფორმის ახალი ეტაპის ფარგლებში, ბიუჯეტირების პრინციპულად განსხვავებული ფორმატის დანერგვას გეგმავს.

ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განაცხადა, სადაც მან 4-პუნქტიანი რეფორმების გეგმის მიმდინარეობის შესახებ ისაუბრა.

„უკვე დადებულია ძალიან მნიშვნელოვანი შედეგი: ეკონომიკური რეფორმების მიმართულებით, საგადასახადო ლიბერალიზაციის პაკეტი დამტკიცებულია პარლამენტის მხრიდან; საგადასახადო ადმინისტრირების მიმართულებით ფუნდამენტური რეფორმები დაიწყო; ასევე, განათლების რეფორმების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა და სანდრო ჯეჯელავას უახლოეს მომავალში სამოქმედო გეგმის პრეზენტაცია აქვს დაგეგმილი. სივრცითი განვითარების მიმართულებით, ასევე, ძალიან აქტიურად ვმუშაობთ. ვმუშაობთ პროექტების დაჩქარების გეგმაზე და მომავალი წლიდან ჩვენ გვქნება ერთიანი ფრონტი გახსნილი და ვფიქრობთ, რომ ეს ნამდვილად გარღვევას მოიტანს ეკონომიკური განვითარების მიმართულებით. ჩართულობის გაზრდის კუთხით, ასევე, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა - შეიქმნა საინვესტიციო საბჭო, სადაც იხილება ყველა მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმა, რათა თავიდან ავიცილოთ სიურპრიზები კერძო სექტორისთვის და ასევე, ახლო მომავალში ვგეგმავთ მმართველობითი რეფორმის ახალი ეტაპის პრეზენტაციას და ბიუჯეტირების პრინციპულად განსხვავებულ ფორმატს წარმოგიდგენთ, სადაც უზრუნველყოფილი იქნება თითოეული ჩვენი მოქალაქის ჩართულობა ბიუჯეტირების პროცესში“, - განაცხადა კვირიკაშვილმა და დასძინა, რომ ამ პროექტზე მუშაობა ფინანსთა სამინისტროსთან ერთად მიმდინარეობს.

„ასე რომ, 4-პუნქტიანი პროგრამა მუშაობს, ბევრი ნაბიჯი უკვე გადაიდგა და კიდევ უფრო ამბიციური ნაბიჯები არის დაგეგმილი. ვფიქრობთ, ამ პროგრამის მეშვეობით მოხდება განვითარების მნიშვნელოვნად დაჩქარება და მნიშვნელოვანი გარღვევა ეკონომიკური განვითარების არაერთი მიმართულებით“, - დასძინა პრემიერ-მინისტრმა.

კახეთსა და ქვემო ქართლში 71 ეკომიგრანტ ოჯახს სახლი და მიწის ნაკვეთი საკუთრებაში გადაეცემა

ეკომიგრანტი ოჯახებისთვის 2005-2009 წლებში სახელმწიფოს მიერ შესყიდული სახლების დაკანონების მეორე ეტაპი დაიწყო. პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, 71 ეკომიგრანტ ოჯახს, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლები და მიწის ნაკვეთები საკუთრებაში სიმბოლურ ფასად, 1 ლარად გადაეცემა.

პრემიერის განმარტებით, აქედან 44 სახლი და მიწის ნაკვეთი კახეთის რეგიონშია, 27 კი ქვემო ქართლის რეგიონში.

გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, ეკომიგრანტების პრობლემა ძალიან მტკივნეულია და მნიშვნელოვანია, რომ მის მოსაგვარებლად სახელმწიფო კონკრეტულ ნაბიჯებს დგამს.

„მიმდინარე წელს უკვე 302 ეკომიგრანტ ოჯახს გადაეცა საკუთრებაში სახლი მიწის ნაკვეთით, რაც ვფიქრობთ, მისასალმებელია, ვინაიდან ეკომიგრანტების პრობლემა საკმაოდ მძიმეა ჩვენს ქვეყანაში და მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს მათთვის შესაბამისი საცხოვრებელი პირობები“, - აღნიშნა პრემიერმა.

თინა ხიდაშელი - სტრასბურგის სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ მერაბიშვილის პატიმრობა კანონიერი იყო

ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ მისი პატიმრობა იყო კანონიერი, - ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, თინა ხიდაშელმა მთავრობის სხდომის შემდეგ განაცხადა.

როგორც ხიდაშელმა განმარტა, სტრასბურგის სასამართლომ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა სხვა პროცედურული საკითხი, რომელიც მერაბიშვილის დაკავებას მოჰყვა და არა მისი პატიმრობის კანონიერება.

„ძალიან სამწუხაროა, რომ საქართველოში მარტივი თემები, ფურცელზე დაწერილი, ადვილად წასაკითხი და ადვილად გასაგები ამბები ამდენ დისკუსიას იწვევს. მათ უმრავლესობას, ვინც აზრს გამოთქვამს, ეზარება წაკითხვა და სხვის ნათქვამზე აკეთებს კომენტარს და შეფასებას. რომ წაგვეკითხა გადაწყვეტილება, ეს კითხვები არ იქნებოდა“, - განაცხადა ხიდაშელმა.

მისივე თქმით, პოლიტიკური პროცესია, როდესაც როგორც საქართველოს, ასევე სხვა ქვეყნების პარლამენტის წევრები აკეთებენ პოლიტიკურ განცხადებებს და ამას არაფერი აქვს საერთო სამართლებრივ პროცესთან.

„პოლიტიკური განცხადებები ჩვენ ამ წლების განმავლობაში ბევრი მოგვისმენია, მათ შორის ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებით, თუმცა კიდევ ერთხელ ვამბობ, ამან არ შეიძლება გავლენა მოახდინოს სამართლებრივ პროცედურებზე. ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილებაზე შავით თეთრზე წერია, რომ მისი პატიმრობა იყო კანონიერი. კითხვის ნიშნის ქვეშ არის დაყენებული სხვა პროცედურული საკითხი, რომელიც ამას მოჰყვა. ამიტომ, როდესაც ადამიანის გათავისუფლება - არ გათავისუფლებაზე ხდება აპელირება, ეს შეიძლება დღის წესრიგში დადგეს მაშინ, თუ ადამიანი არის უკანონო პატიმარი. ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებით ითქვა, რომ ის კანონიერად დააპატიმრეს. ხოლო ის, რომ ფარცხალაძის ეპიზოდი არის სხვაგვარად შეფასებული და ა.შ. ეს არის ცალკე საკითხები, რასაც მისი პატიმრობის კანონიერებასთან არაფერი საერთო არ აქვს. ფარცხალაძის ეპიზოდთან დაკავშირებით უმრავლესობას ცალსახა პოზიცია გვქონდა მაშინაც და იგივე წერია დღესაც სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებაში. როდესაც ასეთი განცხადება კეთდება, ჩვენ მის მთქმელს ვენდობით თუ არ ვენდობით, ის აუცილებლად უნდა იყოს გამოძიებული. ეს არ შეიძლება იმაზე იყოს დამოკიდებული, შენი მჯერა თუ არ მჯერა. ეს არის ძალიან სერიოზული ბრალდება, რომელიც მაშინ წაუყენეს მაშინდელ პროკურორს და აუცილებლად უნდა ყოფილიყო გამოძიებული“, - განაცხადა ხიდაშელმა.

რატომ გავიდა დიდი ბრიტანეთი ევროკავშირიდან

ბრიტანეთის მოსახლეობის 52-მა პროცენტმა ევროკავშირის დატოვებას დაუჭირა მხარი. BBC იმ ძირითად 8 მიზეზს ასახელებს, რამაც დიდ ბრიტანეთში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებზე გავლენა მოახდინა.

მაუწყებელი პირველ მიზეზად ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ მდგომარეობას ასახელებს. მეორე მიზეზად კი, ჯანდაცვის რეფორმა სახელდება, რომლის მიხედვითაც, ეროვნული ჯანდაცვის სააგენტო 350 მილიონით ზედმეტს ხარჯავდა.მესამე მიზეზად საიმიგრაციო საკითხი სახელდება, ხოლო მეოთხედ ის, რომ საზოგადოებამ პრემიერ-მინისტრის, დევიდ კემერონის სმენა შეწყვიტა.

კიდევ ერთი მიზეზია, ის, რომ ლეიბორისტულმა პარტიამ, არასწორი კამპანიის შედეგად ვერ შეძლო მხარადმჭერთა ხმების მოპოვება, რამაც რეფერენდუმზე გადამწყვეტი როლი შეასრულა. BBC ასევე აღნიშნავს, რომ მოსახლეობის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენა პოლიტიკოსების, ბორის ჯონსონის და მაიკლ გოვის საარჩევნო კამპანიამაც მოახდინა. მათივე ინფორმაციით, რეფერენდუმში მონაწილეობა ძირითადად 55 წელს გადაცილებულმა პირებმა მიიღეს, რაც ასევე აისახა შედეგებზე. მერვე მიზეზად კი სახელდება ის, რომ დიდი ბრიტანეთის ურთიერთობა ევროპასთან არასდროს ყოფილა მარტივი და სტატიკური.

ოთარ დანელია კალიის წინააღმდეგ წამლობის პროცესს დაესწრო

„მსოფლიო ორგანიზაციების ექსპერტების მიერ დათვლილია, რომ ერთ ტონა კალიის მასას შეუძლია იმდენივე პროდუქტის განადგურება, რასაც 2 500 ადამიანი მიირთმევს დღიურად“

სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია, კახეთის გუბერნატორის მოადგილე გივი მეტრეველი და სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე ზურაბ ლიპარტია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების მიერ საშიში მავნებლის - კალიის წინააღმდეგ წამლობის ღონისძიებას დაესწრნენ. ფართობის დამუშავება სამანქანო აგრეგატებით, ე. წ. თერმული ნისლით ხორციელდება. სურსათის სააგენტოს სპეციალისტებმა მინისტრს დეტალურად გააცნეს ის ფართობები და ტექნოლოგიები, სადაც პრევენციული სამუშაოები უკვე ჩატარდა. აღინიშნა, რომ გასულ წელთან შედარებით დედოფლისწყაროში კალიის გავრცელებას ამ სეზონზე იმდენად დიდი მასშტაბები აღარ აქვს.

„ყოველწლიურად ვეწევით მავნებელი კალიას წინააღმდეგ საჰაერო, თუ სამანქანო წამლობას. სამინისტროს მხრიდან ყოველთვის ძალიან დროული რეაგირებაა, შემოსულ შეტყობინებებზე საკმაოდ ოპერატიული რეაგირება ხდება. ასე რომ, ვფიქრობ, წელს რისკები შედარებით ნაკლები იქნება და ვითარება კონტროლს ექვემდებარება. კალია საშიში მავნებელია, რომელიც მნიშვნელოვნად ანადგურებს მწვანე საფარს, ნათეს ფართობებს და მოსავალს. შესაბამისად, წამლობის ღონისძიებების დროული ჩატარება აუცილებელია მავნებლის გავრცელების არეალის შემცირებისა და ნათესი ფართობების დაცვის კუთხით“, – აღნიშნა ოთარ დანელიამ.

დღეისათვის, კახეთის რეგიონში - სიღნაღის, დედოფლისწყაროს, გურჯაანის, ახმეტის მუნიციპალიტეტებში უკვე დამუშავებულია 3600 ჰა ფართობი, ქვეყნის მასშტაბით კი – 4300 ჰა ფართობი.

სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილის, ზურაბ ლიპარტიას განცხადებით, კალიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები უკვე მესამე წელია, ინტენსიურად უახლესი ტექნოლოგიებით და ეფექტიანი პრეპარატებით ხორციელდება. შედეგად, მნიშვნელოვნად არის შემცირებული მავნებლის გავრცელების არეალი.

„კალია განსაკურებით საშიში მავნებელია, რადგან მას საკმაოდ დიდი მწვანე ფართობების განადგურება შეუძლია. მსოფლიო ორგანიზაციების ექსპერტების მიერ დათვლილია, რომ ერთ ტონა კალიის მასას შეუძლია იმდენივე პროდუქტის განადგურება, რასაც 2 500 ადამიანი მიირთმევს დღიურად. ეს კი მნიშვნელოვანი ზარალია სოფლის მეურნეობისთვის. ახალი ტექნიკა საშუალებას გვაძლევს, კალიის გავრცელების კერები ეფექტურად და სწრაფად დამუშავდეს. ეს ღონისძიებები გაგრძელდება 10 აგვისტომდე, როდესაც კალია კვერცხს დებს და ბუნებრივად ისპობა. მანამდე კერების განადგურება ჩვენი სპეციალისტების მიერ მოხდება,“ – აღნიშნავს ზურაბ ლიპარტია.

სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონული სამსახურის თანამშრომლებს შეხვდა და სამსახურის მუშაობის პროცესს გაეცნო.

ზაფხულის სეზონის დადგომასთან ერთად, განსაკუთრებით აქტიურდება სურსათის ეროვნული სააგენტოს მუშაობა. სპეციალისტების მიერ ინტენსიურად ხორციელდება კვების ობიექტების, სავაჭრო ქსელების, სკოლებისა და საბავშვო ბაღების კვების ბლოკების კონტროლი, ასევე ცხოველთა სასაკლაოების მონიტორინგი, ცხოველთა პროფილაქტიკური ვაქცინაცია, სარეალიზაციო ობიექტებში პესტიციდების და აგროქიმიკატების შემოწმება, კალიების და ტრანსმისიული დაავადებების გადამტანი მწერების საწინააღმდეგო ღონისძიებები.

დედოფლისწყაროში კალიების წინააღმდეგ წამლობის ღონისძიებას სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები დავით გალეგაშვილი და იური ნოზაძე, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ილია მარტყოფლიშვილი

წყალი- მხოლოდ გრაფიკით

ზაფხულის დადგომასთან და ტემპერატურის მატებასთან ერთად წყალზე მოთხოვნა გაიზარდა, დედოფლისწყაროში კი დებეტის პრობლემაა და ამის გამო მოსახლეობას წყალი მხოლოდ გრაფიკით მიეწოდება. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების დედოფლისწყაროს სერვისცენტრში აცხადებენ, რომ გრაფიკის აუცილებლობა აბონენტების რიცხვის ზრდამ გამოიწვია. „2013 წლის დასაწყისისთვის აბონენტთა რაოდენობა თუ 1900-ით განისაზღვრებოდა, ახლა მათი რიცხვი 3980-ს შეადგენს. აბონენტების ზრდასთან ერთად მოიმატა კომფორტის მოთხოვნამ და, ბუნებრივია, წყლის ხარჯიც გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ წყლის დებეტის გაზრდის მიზნით დავაერთეთ ე. წ. ლიმონათისა და ატეკის წყლები, წყლის რაოდენობა მოთხოვნაზე ნაკლებია. ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები ნიკორციხის წყალზე. გეოლოგიური გათვლებით, სამუშაოების დასრულების შემდეგ წყლის დებეტის პრობლემა აღარ გვექნება“-აცხადებს გაზეთ „შირაქთან“ საუბარში საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების დედოფლისწყაროს სერვის ცენტრის მენეჯერი გია გოგილაშვილი.

მანამდე კი, სანამ წყალმომარაგების ეს პროექტი დასრულდება და უწყლობა დედოფლისწყაროში წარსულის კუთვნილებად იქცევა, მოსახლეობისთვის წყალი მხოლოდ გრაფიკით იქნება ხელმისაწვდომი.

ქალაქ დედოფლისწყაროსა და სოფლების: ხორნაბუჯისა და სამრეკლოს მოსახლეობა წყალს მიიღებს დღეგამოშვებით, წყლის მიწოდების საათობრივი **გრაფიკი კი ასე გამოიყურება:**

ქ. დედოფლისწყარო - **დილის 7 საათიდან საღამოს 21 საათამდე;**

სოფლები: **ხორნაბუჯი და სამრეკლო- დილის 9 საათიდან საღამოს 17 საათამდე.**

* * *

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების დედოფლისწყაროს სერვის ცენტრი კიდევ ერთხელ აკეთებს განმარტებას წყლის ხარისხთან დაკავშირებით და აცხადებს, რომ „დედოფლისწყაროში წყალი ყოველდღიურად მუშავდება ქლორით, ორ დღეში ერთხელ კეთდება ანალიზი და ეს მონაცემები მოწმდება როგორც კახეთის რეგიონული სამსახურის, ასევე საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების სათაო ოფისის მიერ, წყლის ხარისხს ჩვენგან დამოუკიდებლად ამოწმებს სურსათის უვნებლობის სამსახურიც. დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში წყლის ხარისხი შეესაბამება სტანდარტებს. ხოლო რაც შეეხება გავრცელებულ ინფორციას რეზერვუარში მკვდარი ძაღლის ჩავარდნის თაობაზე, გვინდა გაჩვენოთ ფოტო, თუ როგორ გამოიყურება ნებისმიერი ჭა. თავად განსაჯეთ, არის კი შესაძლებელი ასე დაცულ რეზერვუარში რომელიმე ცხოველის ჩავარდნა?!

მინდა ვთხოვო მოსახლეობას, ახლა წინასაარჩევნო პერიოდია, ამიტომ ზოგიერთი ძალები ცდილობენ გაავრცელონ უამრავი სახის ისეთი ინფორმაცია, რომელიც დღევანდელი ხელისუფლების იმიჯის შესალახად და ამის ფონზე თავიანთი პოზიციების გასამყარებლადაა გამიზნული და ნუ წამოეგებიან დეზინფორმაციის ანკესს“ - ამბობს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების დედოფლისწყაროს სერვის ცენტრის მენეჯერი გია გოგილაშვილი.

შენი წილი საქართველო...

ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ჩემი გზა ასეთი იქნებოდა – დღეს მე ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ვარ და იმ საოცარ ადგილას ვსწავლობ, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰქვია. არ ვიცი, როგორ გადმოვცე ის, რასაც ვგრძნობ, რასაც განვიცდი. თავიდან ვერაფრით ვხვდებოდი, რა უნდა გამხარებოდა ასე ძალიან, ან რითი უნდა მეამაყა. დღეს კი უკვე ნამდვილად ვგრძნობ, რა ბედნიერებაა, აქაურობის ნაწილი რომ გქვია.

მე იმ უნივერსიტეტში ვსწავლობ, რომელიც ჩემი ქვეყნის მატიანის უტყვი შემნახველია. უნივერსიტეტში, რომელიც სამშობლოსთვის თავგანწირული უდიდესი პიროვნებების არაადამიანურ შრომასა და ღვაწლზე დგას. უნივერსიტეტში, რომელიც დღემდე საქართველოს ტკივილისა და სიხარულის მაჯისცემაა და რომელიც ჩემი ქვეყნის სისხლიანი, მაგრამ დიადი წარსულის გაუტეხელი ჯარისკაცია. არ ვიცი, გული როგორ არ უნდა გაგისკდეს სიხარულისგან, როცა იმ აუდიტორიაში შედიხარ, სადაც სულ რამდენიმე ათწლეულის წინ ლექციას ივანე ჯავახიშვილი კითხულობდა, სადაც ქართული გრამატიკა და ისტორია იბადებოდა, სადაც ჩვენს ეროვნულ საუნჯეებს ქედუხრელად იცავდნენ ისეთი გენიალური ადამიანები, როგორებიც კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე, პეტრე მელიქიშვილი და სხვანი იყვნენ...

მრავალი სიკეთის მიუხედავად, აქ სწავლა უზარმაზარი პასუხისმგებლობაა. ვიცი, რომ მოშვების უფლება არ მაქვს. არ შემიძლია ასეთ ხალხს ვუღალატო- ,,როგორც გულს, ისე გიტოვებთ უნივერსიტეტს,"- სულ ჩამესმის შალვა ნუცუბიძის უკანასკნელი სიტყვები. უნივერსიტეტი მათი გული იყო, სიცოცხლის წყარო, რომლისგანაც განათლების უშრეტი წყარო მოედინებოდა. იგი დღემდე ამ წყაროს სათავეა- დაარსებიდან თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ.

რატომ ვამბობ ამას მაინცდამაინც ახლა? სულ რამდენიმე დღის წინ ჩემმა ძმამ სკოლა დაამთავრა. მასთან ერთად რამდენიმე ათასი ქართველი იწყებს ახალ ცხოვრებას. მათ ეს შეიძლება ჯერ არ იციან, მაგრამ სწორედ ეს ახალი ცხოვრებაა ჩვენი ქვეყნის მომავლის საძირკველი. ვიცი, ცხოვრებისა იმდენი არაფერი გამეგება, ვინმეს ჭკუა დავარიგო, მაგრამ ამ ერთ წელიწადში მიღებული მცირე გამოცდილებიდან გამომდინარე, მინდა ერთი-ორი სიტყვა მაინც ვუთხრა ჩემს თანატოლებს.

არ არსებობს იმაზე დიდი სიხარული, როცა ლექციაზე ზიხარ, უყურებ საათს და ფიქრობ, რომ შენ ზუსტად ამ წამს, ზუსტად ამ ქვეყანაში, ზუსტად ამ უნივერსიტეტში უნდა იჯდე და ამ ლექციას უსმენდე. სწორედ აქ და არსად სხვაგან. სწორედ ესაა შენი ადგილი ,,ადამიანებით გადავსებულ დედამიწაზე". მერე გიხარია, ხვდები, რომ იპოვე შენი გზა, შენი ცხოვრებისეული მიმართულება- შენ სწორი არჩევანი გააკეთე. მინდა იცოდეთ, რომ უმთავრესია, იყოთ იქ, სადაც თქვენი ადგილია. შეიძლება ეს სულაც არ იყოს უნივერსიტეტი. შესაძლოა თქვენ ძალიან კარგი მხატვარი, მომღერალი, მოცეკვავე ან მექანიკოსი გამოხვიდეთ. მთავარია, იპოვოთ საკუთარი თავი ამ სამყაროში და ის საქმე, რომლის კეთებაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში არ მოგბეზრდებათ.

ილიასი არ იყოს, ეს ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია. ეს არ არის დრო, რომლის უაზროდ გაფლანგვაც გეპატიებათ. ეს თქვენი შესაძლებლობების რეალიზებისა და საფუძვლიანი განათლების მიღების საუკეთესო შანსია, რომლის დაკარგვის შემთხვევაში, განვლილ დროსა და ცოდნას უკან ვეღარავინ დაგიბრუნებთ.

სამწუხაროდ, დღეს ცოტა თუ გამოირჩევა სახელმწიფოებრივი აზროვნებით. მოვლენებს ყველა ჩვენგანი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ვუყურებთ. ახალგაზრდებს გვგონია, ჩვენი ცხოვრება მხოლოდ ჩვენ გვეკუთვნის, მაგრამ, რა თქმა უნდა, ასე არ არის. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი სწორი თუ არასწორი ქმედება ქვეყნის ბედზე აისახება.

,,კარგია გაღვიძებული ადამიანი, მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არა სძინავს, ქვეყნის უბედურებით გულ-აღტკინებულსა,"- წერს ილია. იყო შენი ქვეყნის ღირსეული შვილი- ეს ყველაზე საპასუხისმგებლო პროფესიაა დედამიწაზე არსებულ საქმიანობათა შორის.

მგონია, რომ სკოლადამთავრებულები დაახლოებით მაინც უნდა ხვდებოდნენ რისკენ ისწრაფვიან, რა სურთ, რისი კეთება ანიჭებთ სიამოვნებას. უმეტეს შემთხვევაში, ეს ასე არ

ხდება. ვფიქრობ, ამაში უმთავრესად სკოლა და ოჯახია დამნაშავე. სწორედ ამ ორ უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ ინსტიტუტს ევალება ბავშვების სწორად აღზრდა, მათი დამოუკიდებელ პიროვნებებად ჩამოყალიბება. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ მხოლოდ განათლებული და ანალიტიკურად მოაზროვნე თაობაა ის მძლავრი იარაღი, რომლითაც ერი ჯერ სულიერად, შემდეგ კი ტერიტორიულად გამთლიანდება.

სულ ბოლოს კი გიზიარებთ უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის საოცარ სიტყვებს:

,,მოგმართავთ ყველას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს: შეინარჩუნეთ თვითმყოფადობა, ჩვენი ტრადიციული ქრისტიანული ცხოვრების წესი. გახსოვდეთ, მთავარი ბრძოლა ბოროტთან მოგებულია. უფალი ბრძანებს: ,,ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევიეს სოფელსა." მაშ, იბრძოლეთ ჩვენი გმირი წინაპრების მსგავსად, რათა საკუთარ თავში და თქვენ გარშემო დაიცვათ თქვენი წილი საქართველო. დღეს ეგ ომია თქვენი დიდგორი, თქვენი ბასიანი!"

სოფიო მენთეშაშვილი

14 წლის ბიჭი ფერეიდანიდან: „საქართველოსკენ იმხელა სიყვარულით მოვდიოდით, ირანიდან თქვენამდე გზა თითქოს ერთ საათში გაილია“

რამდენიმე დღის წინ საქართველოში ახალი პროექტი დაიწყო, რომლის დახმარებითაც 12 ფერეიდნელი ქართულ ენასა და ქართულ ხალხურ მუსიკას შეისწავლის.

ზვიად ტომარაძე, "საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება 21-ის" ხელმძღვანელი:

- შარშან ფერეიდანში სტუმრობისას ფერეიდნელ ქართველებს შევპირდი, რომ ენის შესწავლაში დავეხმარებოდი. დავწერე პროექტი, რომელიც ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდმა დააფინანსა. საქართველოში 2 თვის განმვლობაში 12 ფერეიდნელს ვმასპინძლობთ. თბილისის 1-ელ საჯარო სკოლაში მათ აქვთ საშუალება ქართული წერა - კითხვა და ქართული ხალხური სიმღერები შეისწავლონ. ფერეიდნელები წავიყვანეთ ექსკურსიებზე. მათ მცხეთა, ჩარგალი და ანანური უკვე დაათვალიერეს.

ძალიან საინტერესო აღმოჩნდა ფერეიდნელებთან შეხვედრა, ჯუფის ხელმძღვანელი, რომელიც ჰადი ლაჩინანად გამეცნო, ირანში გადასახლებულ ბაგრატიონთა შთამომავალი არჩილ ბაგრატიონი აღმოჩნდა და მეუღლესთან და შვილებთან ერთად ჩამოვიდა საქართველოში.

არჩილ ბაგრატიონი (ჰადი ლაჩინანი): - ფერეიდანში ჩვენს ოჯახთან ერთად ვცხოვრობ და ირანულად ჰადი ლაჩინანი მქვია. ჩვენი ქალაქი მარტყოფია. ამ ქალაქში ყველაზე მეტი ქართველი ცხოვრობს. ჩვენთან სიახლოვეს კიდევ 5-6 სოფელია, რომელიც ასევე ქართველებითაა დასახლებული. ჩემი წარმომავლობა ბაგრატიონთა სამეფო გვარს უკავშირდება, ლაჩინ ხანი, რომელიც ბაგრატიონი იყო, შაჰ-აბასმა ირანში გადაასახლა. გადმოცემით ის დიდი მებრძოლი იყო და მე მისი შთამომავალი ვარ. ჩვენი წარმომავლობის შესახებ წიგნებიდან ვიცი. წიგნებს ვაკეთებთ, სადაც ჩვენ - ჩვენი გვარის გენეალოგიას აღვწერთ.

- რას გულისხმობს პროგრამა, რომლის საშუალებითაც საქართველოში ჩამოხვედით?

- პროგრამის დახმარებით საქართველოში 12 ფერეიდნელი ჩამოვედით, ქართულ ენასა და ქართულ ხალხურ მუსიკას ვსწავლობთ. ქართული ენა ჩვენი დედაენაა და გულში გვიწერია, ეს სიყვარული გულიდან მოდის, რომელსაც სიტყვით ვერც გადმოვცემ.

მინდა, ჩემმა შვილებმა იქართველონ. ქართველები ცოტანი ვართ, არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი ვინაობა და ერთმანეთს გვერდში უნდა დავუდგეთ.

ფერეიდანში დღეს ჩვენთან ის ახალგაზრდები მოდიან, ვისაც სურს იცოდეს თავის ისტორია, ცდილობენ, გაიგონ ვინ იყო მათი წინაპარი, ასევე, ყველაფერს აკეთებენ, რომ ქართული გვარები დაიბრუნონ. ჩვენ ირანშიც გვყავდა დიდი ქართველები, მაგალითად, იმამ ყული ხან უნდილაძე, რომელსაც თურმე შაჰ-აბასი ეუბნებოდა, "მთელი ირანი მე მემორჩილება და მე კი შენ გემორჩილებიო".

ქართველებს მუდამ ენდობოდნენ, ერთგულები ვიყავით და კარგი ბრძოლა ვიცოდით. ასე ამბობენ, ირანში შაჰის კარზე სულ ქართულად ლაპარაკობდნენო.

- რამდენად რთულია თქვენთვის ქართული ენის შესწავლა?

- არ არის რთული, მაგრამ განსხვავებებსაც ვპოულობთ. ჩვენ ხომ XVII საუკუნის ქართულით ვსაუბრობთ. ეს ის ქართულია, რომელიც წინაპრების გადმოცემით ოჯახიდან - ოჯახს და შთამომავლობას გადმოეცემოდა. გამოთქმებიც განსხვავებული გვაქვს.

ჯგუფის უმეტესი ნაწილი პირველადაა საქართველოში. ერთ-ერთი მათგანი თორნიკე ბათუაშვილია:

- საზღვარზე რომ გადმოვედი, ჩვენი მშობლიური მიწა და პაპები მომაგონდა. გავიხსენე, როგორ გადაასახლეს სამშობლოდან და გულზე ცეცხლი შემომენთო. აქ იმიტომ მოვედით, რომ ჩვენი მიწისა და ქართველობისა უკეთესად გავიგოთ. თურქეთს რომ გამოვივლით და საქართველოში შემოვდივართ, სულ არ ვფიქრობთ, რომ სხვა ქვეყანაა. ასე გვგონია, ჩვენი დედ-მამის სახლში ვბრუნდებით.

ბატონი არჩილის თქმით, ისინი აქაურ სამზარეულოსაც საკმაოდ კარგად იცნობენ, ირანში ქართული ყველიც მიაქვთ და ხაჭაპურთან ერთად, სხვა კერძებსაც ამზადებენ.

არჩილ ბაგრატიონი (ჰადი ლაჩინანი):

- სოციალურ ქსელში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გვიკავშირდებიან და გვეპატიჟებიან, სხვათა შორის, ირანში ზესტაფონის ყველი მიმაქვს და ჩემი მეუღლე ხაჭაპურს გვიცხობს ხოლმე.

მეტროში ერთ ქალი გავიცანით, გზა გვასწავლა და რომ ვუთხარით საიდანაც ვიყავით, ცრემლები წამოუვიდა. ჩვენთვის ეს სითბო ყველაზე ძვირფასია, ეს ყველაზე მეტად გვახარებს

ძალიან გვინდა წერა - კითხვა და ლაპარაკი კარგად ვისწავლოთ, რათა შემდეგ ფერეიდანში ჩვენს ქართველებს ვასწავლოთ. ქართულს შინ, ჩვენით ვსწავლობთ. ფერეიდანში ერთი სკოლაა, სადაც სწავლისთვის თანხის გადახდა გვიწევს, ეს ყველას არ შეუძლია. სკოლის გახსნაც რთულია, რადგან საქართველოსგან ძალიან შორს ვართ.

- რას ფიქრობთ საქართველოში დაბრუნებაზე?

- საქართველოში დაბრუნება აუცილებელია, მაგრამ ასე მარტივად ვერ წამოვალთ, უნდა იყოს რაღაც პირობები ჩვენი ოჯახები რომ ვარჩინოთ, ბავშვებმა რომ არ გვითხრან, აქ სად წამოგვიყვანეთო. მთავარი პრობლემა კი მოქალაქეობის მინიჭებაა, როგორც ჩანს, შესაბამისი კანონი ჯერ არ მიუღიათ. ჩვენ გვინდა ჩვენს ქვეყანაში ვიცხოვროთ და ჩვენს ქვეყანას გამოვადგეთ.

ჩემთვის განსაკუთრებით ემოციური არჩილ ბაგრატიონის 14 წლის ვაჟის გიორგის გაცნობა იყო.

გიორგი ბაგრატიონი (არიან ლაჩინანი):

- საქართველოსკენ იმხელა სიყვარულით მოვდიოდით, ირანიდან თქვენამდე გზა თითქოს ერთ საათში გაილია, მაგრამ უკან დაბრუნება გვიჭირს. მიყვარს საქართველო, აქ ძალიან მაგარი ხალხი ცხოვრობს და შეუდარებელი ისტორიული ძეგლებია. ჩვენ რომ შაჰ-აბასს ირანში არ გადავესახლებინეთ, საქართველოს სიყვარულს ასე ძლიერ აღბათ ვერ ვიგრძნობდით.

P.S. გასულ წელს, "საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება 21-ის" ხელმძღვანელ ზვიად ტომარაძის თაოსნობით წიგნები შეგროვდა. ამ საქმეში გაზეთმა "კვირის პალიტრამ"და გამომცემლობა "პალიტრა L"-მ მიიღო მონაწილეობა და ბატონ ზვიადს ფერეიდანში წასაღებად 160 წიგნი - ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებები და ქართული ზღაპრები გადასცა. წიგნების გაგზავნისთვის ფერეიდნელებმა მადლობა გადაგვიხადეს.

ინკლუზიური განათლება დედოფლისწყაროს 15 და 13 სკოლაში მოქმედებს

გასულ კვირას განათლების სამინისტროს ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველომ სიღნაღისა და დედოფლისწყაროს საჯარო სკოლების მეორე სარაიონთაშორისო კონფერენცია გამართა. კონფერენციაზე ამ ორ რაიონში ერთწლიანი მუშაობის ანგარიში და ინკლუზიური განათლების წარმატებული შემთხვევები განიხილეს. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ უკვე მესამე წელია, სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის მულტიდისციპლინური გუნდი მუშაობს. ყოველ ექვს ბავშვზე თითო სპეცპედაგოგი მუშაობს, საჯარო სკოლები სსსმ მოსწავლეთა ოდენობის მიხედვით დამატებით დაფინანსებას იღებენ, რომელიც ამ ბავშვებისთვის სპეციალური ოთახის მოწყობას და ადაპტირებული გარემოს შექმნას ხმარდება.

კონფერენცია სიღნაღისა და დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმღვანელებმა გახსნეს. მათ კონკრეტულად ისაუბრეს, რამდენ სკოლაში მოქმედებს ინკლუზიური სწავლება და გასულ წელთან შედარებით რამდენად გაიზარდა სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა რიცხვი.

დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის, ეთერ ზურიკაშვილის განმარტებით, ამჟამად ინკლუზიური სწავლება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის თხუთმეტიდან ცამეტ სკოლაში მოქმედებს.

ეთერ ზურიკაშვილი: „ინკლუზიურ განათლებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ბოლო წლების განმავლობაში საკმაოდ შეიცვალა ცნობიერება როგორც მშობლების, საზოგადოების, ისე მოსწავლეების და პედაგოგების. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები ინტეგრირებულნი არიან ერთიან სივრცეში და საზოგადოების ნაწილი გახდნენ. დედოფლისწყაროში 15 საჯარო სკოლა მოქმედებს, აქედან 13-ში უკვე გვყავს სპეცპედაგოგი და მოქმედებს სპეციალური კაბინეტი. სსსმ მოსწავლეთა სიმრავლის გამო ორ-ორი სპეცპედაგოგი მუშაობს ქ. დედოფლისწყაროს პირველ საჯარო სკოლაში, არხილოსკალოს და ზემო მაჩხაანის სკოლებში. რაც შეეხება იმას, თუ როგორ დაძლიეს სასწავლო პროგრამა, ბავშვებმა გარკვეული შედეგი უკვე აჩვენეს. მონიტორინგის დროს ხშირად მოწმდება სპეციალური რესურს ოთახები. ისინი საუკეთესოდაა აღჭურვილი ყველა საჭირო ინვენტარით, თვალსაჩინოებებით. წელს შარშანდელთან შედარებით ორი სპეცპედაგოგი დაგვემატა, შესაბამისად, ბავშვთა რაოდენობაც გაიზარდა. ამ კონფერენციის გამართვა ძალზე მნიშვნელოვანი იყო, რადგან პედაგოგებმა და სკოლის დირექტორებმა ბევრი ინფორმაცია მიიღეს და ერთმანეთს საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს.“

„ბოლო წლების განმავლობაში საკმაოდ შეიცვალა ცნობიერება როგორც მშობლების, საზოგადოების, ისე მოსწავლეების და პედაგოგების...“

ეკა დგებუაძე **(განათლების სამინისტროს ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი):** „შეხვედრის მიზანი იყო, რომ ადგილზე გავცნობოდით ინკლუზიური განათლების მიმართულებით მიმდინარე პროცესებს და ჩვენც მიგვეწოდებინა მათთვის საინტერესო ყველა ინფორმაცია. ვფიქრობ, ძალიან ნაყოფიერი შეხვედრა გამოვიდა, რადგან, განათლების სამინისტროს წარმომადგენლებმა მივიღეთ ყველა ინფორმაცია მათი წარმატებების, თუ არსებული პრობლემების შესახებ. მოვისმინეთ პრეზენტაციები უშუალოდ სპეციალური მასწავლებლების მიერ, კონკრეტული ისტორიების განხილვა გვქონდა. ძალიან მოტივირებული პედაგოგები არიან, იგრძნობა ისიც, რომ თითოეული მათგანი ფიქრობს და მსჯელობს გამოსავალი იპოვოს, რათა უფრო ნაყოფიერი იყოს მათი მუშაობა. ფიქრობენ თითოეული მოსწავლის როგორც აკადემიურ, ისე ფუნქციურ განვითარებაზე. ამ ფონზე ჩვენ კიდევ უფრო მეტს ვიზრუნებთ ამ პედაგოგების განვითარებაზე და კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

ის, რომ ინკლუზიური განათლება საჯარო სკოლებში ვითარდება, ციფრები მეტყველებს. სტატისტიკური მონაცემებით, თუ თავდაპირველად, 2013 წელს მხოლოდ 2000-მდე სსსმ მოსწავლე იყო, დღეს ეს რიცხვი 5 600-სს აღემატება. დამეთანხმებით, მაშინ, როცა რიცხვი იზრდება, ძალიან მნიშვნელოვანია სკოლების მზაობა და პედაგოგების კვალიფიკაცია“.

მაია სიმონიძე **(არხილოსკალოს სკოლის დირექტორი)**: „2015 წლიდან ჩავერთეთ ინკლუზიური განათლების პროგრამაში. გვყავს 7 სსსმ მოსწავლე და ორი სპეცპედაგოგი. მიუხედავად იმისა, რომ პირველ ნაბიჯებს ვდგამთ, ძალიან დიდ წარმატებებს მივაღწიეთ. გავიმარჯვეთ მაკლეინის კონკურსში, სადაც მაკლეინის ასოციაციის პრეზიდენტი ქალბატონი ქეთი მაკლეინი გვესტუმრა თავად და ჩვენი სკოლა იმ 15 სკოლას შორის მოხვდა, სადაც დამატებით ჩატარდება სხვადასხვა სპეციალური ტრენინგები და აქტივობები. ძალიან ლამაზი რესურს ოთახი გვაქვს, ბავშვებიც ძალიან გახალისდნენ. ბევრი მათგანი სოციალურად დაუცველია და სახლში არც მიუწვდება ხელი ისეთ ნივთებთან, რომლებიც სკოლაში აქვთ. კარგად არიან ინტეგრირებულნი საზოგადოებაში და სხვა ბავშვებთან ურთიერთობისას. ამიტომაც მათ სკოლაში მოსვლა უხარიათ, მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნებიც შესრულებულია. თანდათან კიდევ უფრო განვითარდებით.

ნინო ნატროშვილი **(ზემო მაჩხაანის სკოლის სპეცპედაგოგი):** „2014 წლის დეკემბრიდან ვმუშაობთ მირზაანის და ზემო მაჩხაანის სკოლების სპეცპედაგოგად მე და ჩემი კოლეგა ეკატერინე წიქარიშვილი, 13 სსსმ მოსწავლე გვყავს. წელს სამმა მათგანმა სკოლა დაამთავრა, ერთმა ატესტატი აიღო, ორი ჩაიჭრა. ბავშვები ბედნიერები არიან, როცა გრძნობენ, რომ ამ სკოლაში საჭირონი არიან და საუკეთესო გარემო აქვთ. მეტი ყურადღება ეთმობათ და მათ უნარ-ჩვევებს წინსვლა ნამდვილად ეტყობა. მასწავლებლებსაც უხარიათ, როცა საკუთარი მუშაობის შედეგს ხედავენ და შრომა უფასდებათ“.

გასულ წელს, ამგვარი კონფერენცია დედოფლისწყაროში ჩატარდა. დამსწრე საზოგადოება აღნიშნავდა, რომ ბოლო ერთი წლის მანძილზე ინკლუზიური განათლება ამ ორ რაიონში საგრძნობლად განვითარდა. განათლების სამინისტროს ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს წარმომადგენლები აბობენ, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს სკოლის დამთავრების შემდეგ არსად არ უწერია, რომ საშუალო განათლება სპეციალური განსხვავებული პროგრამით მიიღო. მას განათლების დოკუმენტებში არც შშმ პირის სტატუსი არ უფიქსირდება. უფრო მეტიც, ეს განათლება მას სამომავლოდ პროფესიული განათლების მიღებაში დაეხმარება და კოლეჯებში ჩაბარებას უგამოცდოდ შეძლებს.

ილია მარტყოფლიშვილი

სტუმრად მზესთან

24 ივნისს მოსწავლე -ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა სპექტაკლი „სტუმრად მზესთან“. სპექტაკლი წარმოადგინეს რუსული ენის წრის წევრებმა რუსულ ენაზე(პედაგოგი მაია გაგნიაშვილი). სპექტაკლის სიუჟეტი ასეთია: ტყეში მცხოვრებმა ცხოველებმა მოიწყინეს მზის გარეშე და სიმღერითა და ცეკვა- თამაშით სცადეს პრობლემის მოგვარება. მოძებნეს მზე და ყველამ ერთად მოილხინა.სპეკტაკლი დაასრულეს საქართველოს სადიდებელი სიტყვებით... სპექტაკლი მუსიკალურად გააფორმა მუსიკის პედაგოგმა შორენა ასანიშვილმა. .ყველა მონაწილეს, მათ შორის პედაგოგებსაც, გადაეცათ მადლობის ფურცელი.

შეხვედრა საქართველოს ყრუთა კავშირის წარმომადგენლებთან.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (ცესკო) საქართველოს ყრუთა კავშირის წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა. ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ შეხვედრის მონაწილეებთან ინკლუზიური საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფისთვის აუცილებელი ღონისძიებები განიხილა.

შეხვედრაზე ასევე გაიმართა პრეზენტაცია საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებისთვის უკვე განხორციელებული და 2016 წლის პარლამენტის არჩევნებისთვის დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ ცესკოს საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში მომზადებული ყველა ვიდეო-რგოლი ითარგმნება ჟესტურ ენაზე და თითოეულ საუბნო საარჩევნო კომისიაში განთავსდება კენჭისყრის დღის პროცედურების აღმწერი პოსტერები.

როგორც შეხვედრის ბოლოს ჟურნალისტებთან საუბრისას ცესკოს თავმჯდომარემ აღნიშნა, საარჩევნო ადმინისტრაცია წლებია ინკლუზიურ საარჩევნო გარემოზე ზრუნავს და სხვადასხვა სახის უამრავ აქტივობას ახორციელებს. „დღეს მნიშვნელოვანი შეხვედრა შედგა; მართალია ცესკო შშმ პირებთან სამუშაო ფორმატში მუდმივად იხილავს მსგავს საკითხებს, თუმცა ყრუთა კავშირთან ეს იყო პირველი და ძალიან წარმატებული შეხვედრა, - ჩვენ მოვისმინეთ მათი საჭიროებები და განვიხილეთ ყველა შესაძლო გზა, რომელიც მნიშვნელოვანია ისეთი პირობების უზრუნველსაყოფად, რომ მათ თანაბარ, ხელმისაწვდომ და სრულყოფილ გარემოში შეძლონ არჩევანის დაფიქსირება 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე," - განაცხადა თამარ ჟვანიამ.

ცესკო მუდმივად მართავს მსგავსი ტიპის საინფორმაციო შეხვედრებს განსაკუთრებული საჭიროების მქონე სამიზნე ჯგუფებთან. თანაბარი, ხელმისაწვდომი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა და შშმ ამომრჩეველთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის ხელშეწყობა, ცესკოს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

ქ. დედოფლისწყარო 21 ივნისი 2016წელი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №16

„საქართველოს პარლამენტის 2016 წლის არჩევნებთან დაკავშირებით სააგიტაციო მასალების (პლაკატების) განთავსების რეგულირების შესახებ" დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 ივნისის №14 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. შეტანილ იქნას ცვლილება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 ივნისის № 14 განკარგულებაში და განკარგულების 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:
„4) სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე განთავსებული ელექტრო ან სხვა დანიშნულების ბოძები - სამი მეტრის სიმაღლემდე დაშვებით, მაგრამ სადენებთან და სხვა ელექტრო მოწყობილობებთან არაუმეტეს ერთი მეტრის სიახლოვისა."

2. განკარულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 11 მუხლი:
„11. ბეჭდვითი სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზემათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში, გარდა ამავე განკარგულებით აკრძალული შენობა- ნაგებობებისა."

3. განკარგულება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე;

4. განკარგულებისგასაჩივრება შეიძლება სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ.სიღნაღი, ცოტნე დადიანისქ. №15) საჯაროდ გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოსთავმჯდომრე ზვიად ჯავახიშვილი

„მშიბზია" – გამარჯობა აფხაზეთს დანარჩენი საქართველოდან



რამდენიმე დღეა, სოციალურ ქსელ ფეისბუკში ახალგაზრდების ინიციატივით აფხაზურად მისალმების აქცია, „მშიბზია", მიმდინარეობს.

„მშიბზია" აფხაზური სიტყვაა და ქართულად გამარჯობას, დღე მშვიდობისას ნიშნავს. მასში ჩართვის მსურველებს შეუძლიათ საკუთარ ფოტოზე გააკეთონ წარწერა „მშიბზია" ან ასეთწარწერიანი პლაკატით გადაიღონ ფოტო და ატვირთონ ვებგვერდზე. ახალგაზრდების ჯგუფს, აქციის ფარგლებში, 8 000 მისალმების მოგროვება სურს, რადგან სწორედ ამდენი დღეა, რაც აფხაზებს არ მისალმებიან დანარჩენი საქართველოს მცხოვრებნი.

აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორის, ბაჩო მებურიშვილის, განცხადებით, აფხაზეთთან მხოლოდ პოლიტიკური საუბრების დონეზე თუ სხვადასხვა ორგანიზაციის პროექტების ფარგლებში მყარდება ურთიერთობა, რაც საკმარისი არ არის. სწორედ ამიტომ ხუთმა ახალგაზრდამ, აფხაზებთან მეგობრული ურთიერთობის აღდგენის იმედით, სოციალური პროექტის განხორციელება გადაწყვიტა. ისინი ემიჯნებიან ყველა პოლიტიკურ სუბიექტს და არასამთავრობო ორგანიზაციას. ამბობენ, რომ იდეას საკუთარი მწირი ფინანსური რესურსით შეასხამენ ხორცს.

„8 000-ზე მეტი დღეა, ჩვენ არ მივსალმებივართ ერთმანეთს, წესიერად არ დავლაპარაკებივართ ერთმანეთს, არ გვილაპარაკია ჩვეულებრივად, მეზობლურად, მეგობრულად. არ მიგვიქცევია ერთმანეთისთვის ყურადღება. სულ რაღაც ომის გახსენებით, არგუმენტებით, ძველი შეცდომების გახსენებით ვლაპარაკობთ. ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ ეს 8 000-დღიანი სივრცე, სიცარიელე მისალმებით ამოგვევსო და შეგვეგროვებინა ეს 8 000 მისალმება", - განაცხადა ბაჩო მებურიშვილმა.

ურთიერთობის მსგავსი ფორმით დაწყების მცდელობა მათ 2008 წელსაც ჰქონდათ, როცა აფხაზებს სოციალური ქსელის საშუალებით ახალი წელი მიულოცეს. ბაჩო მებურიშვილის თქმით, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოხმაურება იყო არაერთგვაროვანი - დადებითიც და უარყოფითიც.

„მაგრამ, როდესაც ხვდებიან, რომ არაფერს არ მოითხოვ მათგან და ხვდებიან, რომ მათთან, უბრალოდ, საუბარი გინდა, იცვლება განწყობა და სხვანაირი საუბარი იმართება ხოლმე", - განმარტავს ის.

„მშიბზიასთვის" სამზადისი ერთი წლის წინ დაიწყო. აქციის ფარგლებში უკვე 1000-ზე მეტი ფოტო მოგროვდა, რომელთა ნაწილი მომხმარებლებმა თავად უწოდებს, კრეატიული ვებგვერდით, შემდეგ სიტყვა „მშიბზიას" მნიშვნელობაც გაიგო და აქციას სიამოვნებით შეუერთდა.

„ზოგადად, მივესალმები ისეთ ინიციატივას, რომელიც ორი არაუცხო ერის ერთმანეთთან დაახლოებას გულისხმობს და მიზნადაც ამას ისახავს. ხურჩაში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ ეს იყო, ალბათ, თვითონ მოსახლეობიდან წამოსული კარგი ინიციატივა. შესაძლოა თავად ატვირთეს ვებგვერდსა ან ფეისბუკზე, ნაწილი კი თავად ორგანიზატორებმა გადაიღეს რეგიონებში მოგზაურობისას.

აფხაზებს საკუთარ ფოტოსთან ერთად მისალმება უკვე გაუგზავნა ზუგდიდელმა სალომე გარდავამ. ამბობს, რომ მისალმების კამპანიის შესახებ სოციალური ქსელის საშუალებით შეიტყო. თავდაპირველად დაინტერესდა ახალი, როგორც ზოგიერთი ერი უფრო მტრული განწყობით ყოფილიყო, მაგრამ მე მიხარია, რომ არ არის ასეთი განწყობა და ჩვენ უფრო სასიამოვნოდ და მეგობრულად ვუდგებით ამ საქმეს", - ამბობს სალომე გარდავა.

„მშიბზიას" ორგანიზატორები მიიჩნევენ, რომ აქციით გარკვეულ მიზანს უკვე მიაღწიეს. ბაჩო მებურიშვილის სიტყვებით, აფხაზები ალაპარაკდნენ, აქვთ შეკითხვები და მათთან კონტაქტზე გამოდიან.

ოთხოზორიას დედა ბრალდებულზე: მინდა დააკავონ, რათა მისი სიცოცხლე იყოს დაცული

აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის სამხედრო პროკურატურამ განაცხადა, რომ სასამართლოს მიმართა გიგა ოთხოზორიას მკვლელობაში ბრალდებულ რაშიდ კანჯი ოღლის დაკავების შუამდგომლობით. პროკურატურაზე დაყრდნობით, სააგენტო „აფსნიპრესმა" 22 ივნის საღამოს გაავრცელა ინფორმაცია, რომ რაშიდ კანჯი ოღლის ბრალი წარდეგინა განზრახ მკვლელობის მუხლით და ის დათხოვნილია სახელმწიფო უშიშროების სამსახურიდან. ამავე სააგენტოს ცნობით, საგამოძიებო ორგანოს იმედი აქვს, რომ ბრალდების დამადასტურებელ მტკიცებულებებს მიიღებს „ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების" სამუშაო ჯგუფების შეხვედრაზე, რომელიც ივლისის დასაწყისში გალში გაიმართება.

აფხაზური სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაცია ზუგდიდში მცხოვრებმა გიგა ოთხოზორიას ოჯახმა ინტერნეტის საშუალებით შეიტყო. გარდაცვლილის დედამ, ჯულიეტა ჭანტურიამ, რადიო თავისუფლებასთან საუბარში განაცხადა, რომ ამ საკითხზე მათთვის უფრო მეტი რამ ცნობილი არ არის.

ოჯახი მიიჩნევს, რომ გალის ხუთმხრივ შეხვედრაზე პირველ და უმთავრეს საკითხად ქართულმა მხარემ უნდა დააყენოს დე ფაქტო ხელისუფლების ხელთ არსებული მტკიცებულებების გასაჯაროების საკითხი.

„6 ივლისს არის შეხვედრა და ამათი მთავარი მოთხოვნა უნდა იყოს გასაჯაროება იმ მასალების, რაც არის იქეთა მხარეს. ვიდეოჩანაწერებს ვგულისხმობ. ვიდეოჩანაწერები როგორც ქართულ მხარეს აქვს, ასევე ვრცელდება ინფორმაცია და დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი ინფორმაცია ექნება მეორე მხარესაც. ეს უნდა გასაჯაროვდეს. მტკიცებულებებს ვგულისხმობ, რომლებიც ნათელს მოჰფენს ამ კონფლიქტის მიზეზებს. იქ გამოიკვეთება ყველაფერი, იქნებ ჩემი შვილის ბრალეულობა გამოიკვეთოს, იქნებ ეს იყოს დამნაშავე", - უთხრა რადიო თავისუფლებას გიგა ოთხოზორიას დედამ, ჯულიეტა ჭანტურიამ.

მისი თქმით, მისი შვილის მკვლელობის მიზეზებზე რაიმე სხვა ვერსია, გარდა იმისა, რაც გავრცელდა მედიასაშუალებებით, ოჯახს არ აქვს. იციან მხოლოდ ის, რომ მკვლელობა ურთიერთშელაპარაკებას მოჰყვა. გარდაცვლილის დედის სიტყვებით, დაზუსტებით იცის მხოლოდ ის, რომ რაშიდ კანჯი ოღლი ამ დრომდე დაკავებული არ არის.

„მე მინდა, რომ ის პიროვნება დააკავონ, რათა მისი სიცოცხლე იყოს დაცული, იმიტომ რომ შეშინებული ადამიანი შეიძლება სხვა ქართველის მკვლელიც გახდეს. ის უკვე არის შეშინებული და ყოველ ადამიანში თავის მკვლელს ხედავს, ამიტომ ეს ცოდვა კიდევ აქეთა მხარეს არ მინდა, რომ დაბრალდეს. ის უნდა გასამართლდეს", - ამბობს ჯულიეტა ჭანტურია.

მკვლელობაში ბრალდებულის სიცოცხლის უსაფრთხოებისათვის მისი დაკავების აუცილებლობაზე ლაპარაკობს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრიც. გიორგი მღებრიშვილმა დაადასტურა აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პროკურატურის 22 ივნისის განცხადება, რომ მან მკვლელობაში ბრალდებულ რაშიდ კანჯი ოღლის დაკავების შუამდგომლობით სასამართლოს მიმართა:

„ამის შესახებ პრემიერმაც ისაუბრა, მოუწოდა აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობას, რომ მიიღონ ყველანაირი ზომები, რომ ის დაპატიმრებული იყოს. მე ვფიქრობ, რომ მისი პატიმრობაში ყოფნა მისივე უსაფრთხოებისთვის უკეთესია. არის ინფორმაცია, რომ შესაძლებელია მოხდეს მისი ლიკვიდაცია და ამან გამოიწვიოს სიტუაციის ესკალაცია კონფლიქტურ ზონაში", -განაცხადა გიორგი მღებრიშვილმა.

გალის რაიონიდან დევნილი გიგა ოთხოზორია 19 მაისს რამდენიმე გასროლით მოკლეს საოკუპაციო ხაზთან მდებარე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურჩაში. მკვლელობაში ეჭვმიტანილ რაშიდ კანჯი ოღლის დაკავება მაშინვე მოითხოვა საქართველოს ხელისუფლებამ. ეს საკითხი განიხილებოდა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიის 36-ე რაუნდზე, რომელიც 15 ივნისს გაიმართა. მისი დასრულების შემდეგ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ თბილისის დელეგაციამ მოლაპარაკების მონაწილეებს მიაწოდა დამატებითი ინფორმაცია მკვლელობის საქმეზე და კატეგორიულად მოითხოვა დამნაშავის დაუყოვნებლივ დაკავება.

ხსოვნა

კობა ბოსტოღანაშვილი

ცრემლიან დაბდების დღეს გილოცავთ, ჩვენო კობა, ჩვენო ძმაო. 24 ივნისს 50 წლის გახდებოდი, მეათე ტკივილიანი წელი სრულდება უშენოდ. მეათედ მოვალთ შენს საფლავთან, ტკივილით მოგილოცავთ დაბადების დღეს. ძალიან გვიჭირს შენზე წარსულში ლაპარაკი, ვაი, რა უსამართლო ყოფილა წუთისოფელი, რომლის შეცვლაც არ შეგვიძლია. შენი წასვლით დამწუხრებულია შენი მეუღლე, შენი შვილები, დები, სიძეები და დისშვილები. ჩვენ ცრემლით ვიხსენებთ შენთან გატარებულ დღეებს.

ცხოვრება გრძელდება, ჩემო ძმაო, მაგრამ უშენობით გამოწვეული გულის იარას ვერაფერი კურნავს. გული გვტკივა, რადგან შენ ვერ დატკბი და ვერ გაიხარე შენს საყვარელ ოჯახთან, შენს შვილებთან.

კობა, თვალცრემლიანი გილოცავთ დაბადების დღეს, კიდევ ერთხელ მოვალთ შენს საფლავთან, დაგინთებთ სანთლებს და მოგილოცავთ 50 წლის იუბილეს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული და დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი.

შენი დები: მანანა და მარინა ბოსტოღანაშვილები.

„უნდა დავაფასოთ ის ხალხი, ვისაც ესმის ხალხური სიმღერის მნიშვნელობა“...

ორი წლის წინ დედოფლისწყაროში ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლა გაიხსნა. გასულ კვირას სკოლის დამფუძნებლებმა დედოფლისწყაროს ხელოვნების ცენტრში საანგარიშო კონცერტი-პრეზენტაცია გამართეს, სადაც მიღწეულ შედეგებზე ისაუბრეს. ღონისძიებაზე რამდენიმე მუსიკალური ნომერი წარმოადგინეს ამავე სკოლასთან არსებული ანსამბლის წევრებმა, რომელიც სხვადასხვა ასაკის მოზარდებითაა დაკომპლექტებული... სიახლეა ისიც, რომ გასული წლებისგან განსხვავებით, ამჯერად გოგონების მიღებაც დაიწყო.

რაიონებში ტრადიციული მუსიკის სკოლების გახსნის იდეა ანსამბლ „შავნაბადას“ წევრს დავით ცინცაძეს ეკუთვნის. მისი ძალისხმევით და ადგილობრივი ხელისუფლებების ფინანსური მხარდაჭერით რამდენიმე რაიონში უკვე მოხერხდა ამგვარი სკოლების გახსნა. სკოლის მოსწავლეებს სპეციალური მეთოდიკით ზრდიან, რის შემდეგაც ისინი თბილისში, გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უმაღლეს სასწავლებელში ირიცხებიან. იდეის ავტორთა პრინციპული მიდგომაა, რომ უმაღლესი სასწავლებლის დასრულების შემდეგ ლოტბარი აუცილებლად თავის მშობლიურ რაიონს დაუბრუნდეს და მოღვაწეობა რეგიონში განაგრძოს.

დავით ცინცაძე: „ვინაიდან ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის პოპულარიზაციამ ძალიან დაიკლო, განსაკუთრებით რთული ვითარებაა რეგიონებში, ამიტომ, ვფიქრობთ, რომ აუცილებელია მისი განვითარებისთვის ვიბრძოლოთ და მომავალ თაობას სპეციალური ცოდნა მივცეთ. შედეგები უკვე გვაქვს სხვა რაიონებშიც და დედოფლისწყაროშიც. ამ სკოლის პირველმა მოსწავლემ, ნიკა შანშაშვილმა წარმატებით ჩააბარა უმაღლეს სასწავლებელში და პირველ კურსზეა. კიდევ ორი მოსწავლე ირიცხება ამ სკოლაში, რომელიც წელს აბიტურიენტობისთვის ემზადება და ისინიც გეგმავენ სწავლა გალობის უმაღლეს სასწავლებელში განაგრძონ. თუმცა ჩვენი მთავარი ჩანაფიქრი რამდენიმე წლის შემდეგ გამოჩნდება, როდესაც ჩვენი სტუდენტები უკვე ბაკალავრის დიპლომით ხელში, სპეციალური განათლებით აღჭურვილები შეძლებენ რაიონში დაბრუნებას და შექმნიან გუნდებს. ამ ყველაფერს დრო ჭირდება, მაგრამ ჩვენ ძალისხმევას არ ვიშურებთ საამისოდ“.

ნიკა შანშაშვილი: „დედოფლისწყაროში ეს სკოლა რომ არ გახსნილიყო, სიმართლე გითხრათ, სხვა გზით წარვმართავდი ჩემს ცხოვრებას. სხვა გეგმები მქონდა და ისე დაემთხვა, რომ დავინტერესდი და კმაყოფილი ვარ არჩევანით. ვეცდები, ამხელა ნდობა გავამართლო და სწავლა წარმატებით დავასრულო. ჩემთვის საამაყოა, რომ პირველი მოსწავლე და პირველი სტუდენტი ვარ დედოფლისწყაროდან.“

გელა გველუკაშვილი (სკოლის პედაგოგი): „ამ საღამოზე გვინდოდა წარმოგვეჩინა ჩვენი შედეგები. ანსამბლს სხვადასხვა წარმატებები ჰქონდა. ბავშვთა საგუნდო კოლექტივების ეროვნულ კონკურსში გავედით შარშან და წელს. ოთხი მეორე ადგილი და ორი მესამე ადგილი, ასევე, ერთი ვერცხლის და ორი ბრინჯაოს მედალი ირიცხება ჩვენს ანგარიშზე, მომავალში უკვე ოქროს მედალზე ვართ ორიენტირებული.“

დეკანოზი ნიკოლოზ ლომსაძე: „რაიონისთვისაც და ეკლესიისთვისაც ამ სკოლის არსებობას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მომავალში, შესაძლოა, გუნდის ხელმძღვანელები და ლოტბარები აღიზარდნენ და რაიონს დაუბრუნდნენ. ვხედავ, რომ ამ მცირე დროში აქვთ მიღწევები, გამოჩნდა თაობა, რომელიც ხმაში ეწყობა ერთმანეთს, სცენაზე დგომას სწავლობს. ეს კი დიდ გამოცდილებას შესძენს მათ.“

თამრიკო ჭოხონელიძე (დედოფლისწყაროს სკოლის კურატორი): „მე დავესწარი პირველ დღეს, როდესაც დედოფლისწყაროს სკოლისთვის ბავშვების შერჩევა მიმდინარეობდა. იმდენად ანთებულები მოდიოდნენ ეს ბიჭები, რომ წარმოუდგენელია, ეს ემოცია გადმოვცე. აღფრთოვანებული დავრჩი იმ კონტინგენტით, რაც საწყის ეტაპზევე გამოჩნდა დედოფლისწყაროში. იყო ასაკობრივი ნაირსახეობაც. აღსანიშნავია, რომ დედოფლისწყაროში არიან ძალიან კარგი პედაგოგები, საუკეთესო სპეციალისტები, რომლებიც, ზუსტად ვიცი, რომ კარგად მუშაობენ. მე ვისაც შევხვდი დედოფლისწყაროში, ყველა იმდენად კვალიფიციური მუსიკოსია... მე ბევრ მათგანს ვიცნობ. პრაქტიკოსები, პიანისტები, ისეთი თეორიტიკოსები ვნახე, რომ... ზოგი კონსერვატორიიდან ვიცი, ზოგს გადმოცემით ვიცნობ, ზოგიერთი მამასგან ვიცი. გვარებით და სახელებით ვიცი, ისინი გამორჩეულები იყვნენ და დღეს ცხოვრობენ დედოფლისწყაროში. საცოდაობაა მათი ცოდნა თაობებს არ გადაეცეს. ამიტომ, ძალიან მიხარია, რომ ამ სკოლის გახსნით მათ საქმის კეთების საშუალება მიეცათ. წლების მანძილზე ძალიან დიდი ენთუზიაზმით მუშაობენ და ეს მნიშვნელოვანია. მინდა დიდი სიმპათია გამოვხატო დედოფლისწყაროს გამგეობის მიმართ. ქალბატონი თამარ თამაზაშვილის და ნიკოლოზ ჯანიაშვილის მიმართ, რომელთაც სკოლის გახსნის იდეას მხარი დაუჭირეს და ხორცი შეასხეს. ბევრმა რაიონმა ამ იდეას მხარი არ დაუჭირა და არ დააფინანსა, ეს ჩემთვის გაუგებარია. ამიტომ განსაკუთრებით უნდა დავაფასოთ ის ხალხი, ვისაც სრულად ესმის ხალხური სიმღერის და გალობის მნიშვნელობა“.

სკოლასთან მოქმედ ანსამბლში გაწევრიანება მსურველებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ, ანსამბლიდან ივსება სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტი, რომლებიც უფრო საფუძვლიანად შეისწავლიან და სტუდენტობისთვის მოემზადებიან.

ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავენ!

ნიკოლოზ ჯანიაშვილს, მაკა მეტრეველს!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტის გამგებელს, ნიკოლოზ ჯანიაშვილს და მის მეუღლეს, მაკა მეტრეველს ულოცავს ქალიშვილის დაბადებას, პატარა **თამარს** კი ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ნათელ მომავალს უსურვებს. უფალი ფარავდეს პატარა ანგელოზს, მშობლებისა და ერის საამაყო გოგო გაზრდილიყოს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გილოცავთ ქალიშვილის-პატარა **თამარის** თქვენს ოჯახში შემობრძანებას. ყოფილიყავით ბედნიერი და გახარებული მშობლები, პატარას კი უზრუნველ და იღბლიან მომავალს ვუსურვებთ!

პატივისცემით,
გაზეთ „შირაქის“
რედაქცია

გასწორება

ჩვენი გაზეთის 22-ე ნომერში დაბეჭდილ წერილში სათაურით „მუსიკა გრძნობის სტენოგრამაა“ ბოლოდან მეორე აბზაცი უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად: **„ნატალია პატაშურმა წაიკითხა ლექსი „ჟუჟუნა წვიმა“ და ასევე დედიკოსთან მაია პაპაშვილთან ერთად შეგვისრულა მუსიკალური ნომერი, ხოლო კენჭიაშვილის დავლური შეასრულა ლანა მენთეშაშვილმა დედიკოსთან დალი მაძღარაშვილთან ერთად“.** ხოლო ამავე სტატიის პირველი აბზაცის ბოლო ნაწილი უნდა იკითხებოდეს ასე: **„მოსწავლეებმა წარმოაჩინეს პედაგოგების: ირმა ოზაშვილის, თამილა ნადირაშვილის, ხათუნა პოპიაშვილის, ნინო ალადაშვილის, მარიამ კიკილაშვილის, დარეჯან შანშაშვილის, ლია ხაჩიაშვილის, თამარ კიკილაშვილის, ნინო ლაპიაშვილის, ევგენია ხუციშვილის, ოლღა მუჩიაშვილის, დალი ხუციშვილის, ფიქრია ქადაგიძის მიერ მთელი წლის მანძილზე გაწეული პედაგოგიური ღვაწლი.“**

ყურადღება!

ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრი **აცხადებს აღსაზრდელთა მიღებას** 2016-2017 სასწავლო წლისათვის.

განცხადებების მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 1 ივლისიდან 30 ივლისის ჩათვლით.

მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის ქ. №1.

ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის ადმინისტრაცია.

იყიდება

იყიდება კეთილმოწყობილი ერთოთახიანი ბინა ავეჯით და ავეჯის გარეშეც.

მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, რუსთაველის ქ. №44; მე-5 სართული; ბ. 13.

ფასი შეთანხმებით.

☎ 514018014;

ვაკანსია

ავტოსკოლისა და კომპიუტერული გასართობი ცენტრისთვის, გვესაჭიროება 20-დან 40-წლამდე ასაკის ორი ქალბატონი, რომლებიც მორიგეობით იმუშავებენ. დაგვიკავშირდით 1 ივლისიდან.

☎ 593435707 ან 577345539

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 27.06	სამშაბათი 28.06	ოთხშაბათი 29.06	ხუთშაბათი 30.06	პარასკევი 01.07	შაბათი 02.07	კვირა 03.07
დღე	23 °	24 °	25 °	26 °	27 °	26 °	26 °
ღამე	22 °	23 °	23 °	24 °	25 °	24 °	25 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.